



უკრაინელი ლტოლვილები ურგეში



ოზურგეთის საკრებულოს თავმჯდომარე დავით დარჩია და მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე ნათია გოლიაძე, საკრებულოს წევრებთან ერთად უკრაინის იმ მოქალაქეებს შეხვდნენ, რომლებიც დაბა ურგეში იმყოფებიან.

მათ საკვები პროდუქტი და პირველადი მოხმარების საგნები მიუტანეს, საჭიროებების შესახებ ინფორმაცია მოისმინეს.

„მნიშვნელოვანია სოლიდარობა და თანადგომა უკრაინელი ხალხის მიმართ. დღეს, კოლეგებთან ერთად ის ოჯახები

მოვინახულეთ, რომლებიც ჩვენს მუნიციპალიტეტში იმყოფებიან. მასივად გავუწიეთ ღირსეული მასპინძლობა ოზურგეთში.“ – აღნიშნა დავით დარჩიამ.

– „დღეს, საკრებულოს წევრებთან ერთად მოვინახულეთ ჩვენი მუშაკარი უკრაინელები და მათ თანადგომა გამოუცხადეთ. გადავცეთ საკვები პროდუქტები და მივუთხარეთ ინფორმაცია, თუ რა სახის დახმარება ესაჭიროებათ მათ ამ ეტაპზე. ჩვენი მხარდაჭერა უკრაინას!“ – აღნიშნა ნათია გოლიაძემ.

ა ლ ტ ი ნ ო ს ი

უძველესი გაზეთი უახლესი ინფორმაციებით!

გაზეთი გამომდის 1931 წლის 5 იანვრიდან
 საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი.
 ყოველკვირეული გამოშვება. № 6 (10418) 17 მარტი, 2022 წ. ფასი 80 თეთრი.

გურიის რეგიონიდან უკრაინელი ხალხის დასახმარებლად 10 ტონა ჰუმანიტარული ტვირთი გაიგზავნა



გურიის რეგიონიდან უკრაინელი ხალხის დასახმარებლად 10 ტონა ჰუმანიტარული ტვირთი გაიგზავნა.

„გურიის სამხარეო ადმინისტრაციის ორგანიზებით უკრაინელი ხალხის დასახმარებლად ჰუმანიტარული ტვირთი სამივე მუნიციპალიტეტში შეგროვდა. მინდა მადლობა გადაუხადო თითოეულ მოქალაქეს, სამოქალაქო საზოგადოებისა და ბიზნესის წარმომადგენლებს უკრაინის ჰუმანიტარული დახ-

მარების საქმეში შეტანილი წვლილისთვის. მუნიციპალიტეტებმა სარეზერვო ფონდიდან გამოიყვეს თანხები, რომლითაც პირველადი მოხმარების აუცილებელი სამედიცინო ნივთები და არამალფუჭებადი საკვები პროდუქტები იქნა შექმნილი.“ – აღნიშნა გიორგი ურუშაძემ.

გურიის რეგიონიდან ჰუმანიტარული ტვირთი უკრაინაში ფოთის ტერმინალიდან უკვე გაიგზავნა

ქ. ოზურგეთში „ალტ ინფოს“ ოფისის გახსნასთან დაკავშირებით საპროტესტო აქცია გამართეს

მარი კოპოვიძი



14 მარტს, ქ. ოზურგეთში, „ჭადრების ბაღში“ სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლებმა „ალტ ინფოს“ ოფისის გახსნასთან დაკავშირებით საპროტესტო აქცია გამართეს.

ირმა გორდელაძე, გარემოსდაცვითი ორგანიზაცია „ეკოს“ თავმჯდომარე: – ჩვენ ვართ ადამიანები რომლებსაც ვაგვაჩნია ღირსება, სამშობლოს, ტრადიციების, სარწმუნოების სიყვარული. გვინდა დემოკრატიული, მშვიდობიანი ქვეყანა საკუთარი თავისთვის და შვილებისთვის... ის ადამიანები უნდა დავიბრუნოთ რომლებსაც ჭკუა აურიეს, რომლებიც უყურებდნენ „ალტ ინფოს“ არხს. შეატყობთ, ცუდი გავლენა მოახდინეს ჩვენს მეზობლებზე, ახლობლებზე. იმ ადამიანებს, რომლებიც

„მოექცნენ“ კი არ უნდა ვებრძოლოთ- უნდა ვესაუბროთ, აუხსნათ რომ შეცდომაში არიან შეყვანილები, ძალიან საშიში ძალის გავლენის ქვეშ არიან და მივაბრუნოთ ჩვენსკენ.

დარწმუნებული ბრძანდებოდეთ „ალტ-ინფოს“ ხელის ბიჭები ოზურგეთში ფეხს ვერ მოიკიდებენ. როცა ვაივებ, რომ ვინმე ოზურგეთელი გაწევრიანდა ამ პარტიაში მასთან მივალ პირადად და ვესაუბრები, ვეცდები აუხსნა, რომ რუსეთი ოკუპანტია, დამპყრობელია. იმ მოძღვართან, რომელიც მრევლს ტვინს ურევს მივალ და ვეტყვ ო არ დაავიწყდეს 1811 წელს ერთმორწმუნე რუსეთმა როგორ გაგვიუქმა ეკლესიის ავტოკეფალია; 1814 წელს როგორ დაგვისვა რუსი ეგზარქოსი; წირვა-ლოცვა რუსულ

ენაზე ტარდებოდა, გაძარცვეს ეკლესია-მონასტრები და ქართული ფრესკები კირით შეათეთრეს.

ჩვენ გვინდა ნათელი მხარე, დემოკრატიული, მშვიდობიანი მხარე. ერთად ვიბრძოლოთ თავისუფალი საქართველოსთვის.

ზანო გოგოლაშვილი, პარტია „ანა დოლიძე–ხალხისათვის“ ოზურგეთის ორგანიზაციის თავმჯდომარე: – ოზურგეთში არის ძალიან დიდი პოლიტიკური კულტურა, ამიტომ დიდი იმედი მქონდა თითოეული თქვენგანის, რომ დღეს ამ აქციაზე მოხვიდოდით. მე, 30 წელი საჯარო სექტორში მუშაობის შემდეგ, პირველად მივიღე გადაწყვეტილება შევსულიყავი პარტიაში. ეს არის სრულიად ახალი

გაზეთი „ალიონი“ სარეკლამო მომსახურების ტარიფები

- მე-2 მთლიანი გვერდის (648 კვ.სმ) ღირებულება 120 ლარია;
- მე-3-7 (თითოეული 810 კვ.სმ) მთლიანი გვერდებისა - 150-150 ლარი;
- 1-ლი, ფერადი გვერდი მთლიანად (810 კვ. სმ) არ იყიდება, ნახევარი გვერდის (405 კვ. მ) ღირებულება 300 ლარია;
- ბოლო, მე-8, ფერადი გვერდი მთლიანად 300 ლარი ღირს;
- შიდა შავთეთრ გვერდებზე ფერადი ბეჭდვის შემთხვევაში გვერდის საფასური 50 ლარით იზრდება.
- პოლიტიკური რეკლამის ღირებულება ორმაგია;
- მილოცვა ფერად გვერდზე 32,40 კვ. მ-ზე, სურათით - 25 ლარი;
- სამელოვიარო განცხადება - სიტყვა 25 თეთრი, პლუს სურათი (5X6 სმ) - 2 ლარი;
- გახსენება, ნეკროლოგი - სიტყვა 20 თეთრი, პლუს სურათი (5X6 სმ) - 2 ლარი;

საკალო ფასი: 60 თეთრი,
ხელმოწერა:
ერთი თვით - 2,40 ლარი,
სამი თვით - 7,20 ლარი,
6 თვით -14,40 ლარი,
ერთი წლით - 29,60 ლარი.

გაზეთში გამოქვეყნებული მასალების შინაარსი შეიძლება არ ემთხვეოდეს რედაქციის თვალსაზრისს. ავტორები თვითონ არიან პასუხისმგებელი ინფორმაციის სიზუსტეზე. რედაქციაში აუდიონაწერები ინახება ორი კვირის განმავლობაში, ამ ვადის გასვლის შემდეგ პრეტენზიები აღარ მიიღება. რედაქცია ავტორებისაგან არ მიიღებს სამ ხელნაწერ გვერდზე მეტ მასალას. გამოქვეყნებული მასალების გადაგვცემა აკრძალულია რედაქციიდან ნებართვის გაცემის გარეშე.

სარეკლამო კომპანია
რედაქციური
ნუგზარ ასათიანი
nugzarasatiani15@gmail.com
558 499100
კომპიუტერული უზრუნველყოფა
გიორგი გოგოლაძე
gia_77@mail.ru
551 576060
რედაქციის მისამართი: ქ. ოზურგეთი, გაბრიელ ეპისკოპოსის ქ.№3
ტელ: 558 499 100 გაზეთი რეგისტრირებულია ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში 18. 11. 2004 №44/4-311
გაზეთი იბეჭდება გამოცემლობა „მერიდიანში“
მის: თბილისი, ვ. ბაგრატიონის ქ. №77

დაიწყეთ ყოველი
მიზნობრივი აქცია
«ალიონით»

ლევან ჯაფარიძე საქართველოს ორგანიზაციის „სოლიდარობის ფონდი PL საქართველოში“ წარმომადგენლებს უხვდა



გურიაში სახელმწიფო რწმუნებულის პირველი მოადგილე ლევან ჯაფარიძე საქართველოს ორგანიზაციის „სოლიდარობის ფონდი საქართველოში“ წარმომადგენლებს უხვდა და მათთან ერთად განიხილა ურთიერთთანამშრომლობის მოდელის დეტალები.

სოლიდარობის ფონდი წარმოადგენს პოლონეთის სახელმწიფო სახაზინო ფონდს და აგრძელებს მუნიციპალიტეტების საუკეთესო გამოცდილების გაზიარებასა და საქართველოში დეცენტრალიზაციის პროცესის განვითარებას. ფონდი მზადაა, შესთავაზოს მუნიციპალიტეტებს გურიაში: -ოზურგეთისა და ჩოხატაურის ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის (LSG) 12 მოტივირებული წარმომადგენლის მონაწილეობა ტრენინგში, საგანმანათლებლო პროგრამაში, „Academy of Fundraising“, რომელსაც ის განახორციელებს ოზურგეთში 2022 წლის მარტიდან ოქტომბრის თვის ჩათვლით; - პროექტის „მზადყოფნა ენერგო-ეფექტური (EE) გადაწყვეტილებებისთვის“ განხორციელება, რაც დაეხმარება ჩოხატაურს ენერჯის დაზოგვის პოტენციალის იდენტიფიცირებაში ენერგო-ეფექტური (EE) ღონისძიებების შედეგად. SFPL-მა უზრუნველყო სახსრები პოლონეთის საგარეო საქმეთა სამინისტროდან ჩოხატაურის მუნიციპალიტეტისთვის; - პროექტის „ყოვლისმომცველი, მოდერნიზებული ახალგაზრდული ინფრასტრუქტურა ოზურგეთში, როგორც ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოსა და სოციალურ პარტნიორებს შორის გაძლიერებული თანამშრომლობის ხელშესახები მაგალითი ექსტრა-ბიუჯეტური გრანტების მართვაში“, რაც დაეხმარება ოზურგეთს, შექმნას ხელსაყრელი გარემო ახალგაზრდებისთვის რეგიონის განსავითარებლად. SFPL-მა მოიპოვა სახსრები „ახალი დემოკრატიის ფონდიდან“ ოზურგეთის ადგილობრივი განვითარების მხარდასაჭერად.

2022 წლის სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში, უხვდება გაიშარტა სუფსის ხეობაში

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მოსახლეობამ ადმინისტრაციული ერთეულების მიხედვით მიიღო შემდეგი გადაწყვეტილება: **დიდივანში** - წყლის სისტემი რეაბილიტაცია და შიდასასოფლო გზების მოწესრიგება; **შუა სურბში** - გარეგანათების ქსელის გაფართოება; **ზემო სურბში** - საავტომობილო ხიდის რეაბილიტაცია და შიდასასოფლო გზების მოწესრიგება. შეხვედრას ესწრებოდნენ, ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერი დავით შარაშიძე, მერის პირველი მოადგილე მაია კუტუბიძე, სოფლის ხელმძღვანელ პირებთან და შესაბამის სამსახურებთან ერთად. გარდა სოფლის დახმარების პროგრამით გათვალისწინებული პროექტებისა, დავით შარაშიძემ მოსახლეობას გააცნო პრემიერ - მინისტრის მიერ ინიცირებული სოციალური პროგრამა, რომელიც პირველი მარტიდან ამოქმედდა. ინფორმაცია მიწოდდა სოფლებში დაგეგმილი ინფრასტრუქტურული პროექტების შესახებ, რომლებიც წელს განხორციელდება. ისაუბრა მუნიციპალური ბიუჯეტით გათვალისწინებულ სოციალურ პროგრამებზე, რომლით სარგებლობაც მოქალაქეებს შეუძლიათ. მერმა, ასევე, ინდივიდუალური შეხვედრები გამართა მოქალაქეებთან. მათ მიერ დაყენებული საკითხების ოპერატიულად გადაჭრის მიზნით, ჩაერთვებიან მერის წარმომადგენლები



ქ. ოზურგეთში „ალტ ინფოს“ ოფისის გახსნასთან დაკავშირებით საპროტესტო აქცია გაიმართა



პარტია, რომელსაც ქვია „ანა დოლიძე -ხალხისათვის“. ეს არის ცენტრისტული, პრო-დასავლური ძალა, რომლის იდეაც მდგომარეობს შემდეგში: - ყველამ, მიუხედავად ჩვენი პარტიული კუთვნილებისა, უნდა ჩაკვიდოთ ხელი ერთმანეთს და ერთად ვაშენოთ ცივილური ჩვენივე ქალაქი, ჩვენივე საზოგადოება. „ნაცი“, „ქოცი“, „პრო-დასავლელი“ და ა.შ. უნდა გავერთიანდეთ ერთი ქოლგის ქვეშ, რასაც ქვია უკეთესი ოზურგეთი, უკეთესი საქართველოს ხვალისდელი დღე. ამ საქართველოს ხვალისდელი დღეში პუტინისტური ორგანიზაცია ვერ ჩაიწერება. ეს ცალსახაა. პუტინს ებრძვის მთელი ცივილური სამყაროსე წავიდა საქმე, თვითონ რუსეთი ებრძვის პუტინს, შიგნიდანაა უკვე გამოხრული რუსეთის იმპერია. ამ სიტუაციაში საქართველოში პუტინს ოფისი გავუხსნათ, სირცხვილზე მეტია. მე ვერ წარმომიდგენია ვინმე ოზურგეთელი მივიდეს და „ალტ-ინფოს“ ოფისში დაჯდეს და ხელფასს აიღებს, ვის აქვს ორი თავი? თუ ვინმეს გონებაში ასეთი აზრი უტრიალებს, მე მზად ვარ ქალბატონ ირმასთან ერთად ავუხსნა და გავაგებინო, რომ ამ ნაბიჯის გადადგმა წამებებიან და

არახელსაყრელი იქნება მისთვის. **თამარ ოზანოვა:** სახალხო დამცველის წარმომადგენელი: -ეს არ არის პოლიტიკური პარტია, ორგანიზაცია - ეს არის დაჯგუფება, რომლის სახელიც დაკავშირებულია ადამიანის უფლებების მძიმე დარღვევებთან. ეს არის ღიად პრო-რუსული დაჯგუფება, რომლის წევრებიც მოუწოდებენ ადამიანებს, რომ მეორე ადამიანი ფიზიკურად გაანადგურონ. ეს დაჯგუფება უკრაინაში მიმდინარე მოვლენების ფონზე ამართლებენ რუსეთს, რომელიც შეიჭრა უკრაინაში და ხოცავს ახალგაზრდებს, ბავშვებს, ხანდაზმულებს და ქალებს, ანუ მშვიდობიან მოქალაქეებს. ამბობენ, რომ ჩვენ თითქოს ომში გვინდა ქვეყნის ჩაბმა. ყველას ესმის, რომ დღეს აქ შევიკრიბეთ ადამიანები, რომელთა მიზანიც არის, რომ პრო-რუსულმა ძალამ ოზურგეთში ფეხი არ მოიკიდოს. შემდეგ საპროტესტო აქციის მონაწილეები ჭავჭავაძის ქუჩაზე, „ალტ ინფოს“ ოფისთან მივიდნენ. გაზეთ „ალიონს“ აქციის მონაწილეებმა თავიანთი შეხედულებები გაუხიარეს: **ირაკლი პაპავა,** გურიის რეგიონული ბიუროს წარმომად-

გენელი Information center on NATO and EU-ში: - რა თქმა უნდა დღევანდელი აქცია მიმართულია იმ საფრთხის წინაშე, რაც უკავშირდება ქვეყნის საგარეო პოლიტიკას. კონსტიტუციაში გაწერილია საქართველოს საგარეო პოლიტიკის მთავარი პრიორიტეტი, რომელიც არის ევროატლანტიკურ სტრუქტურებში გაწევრიანება. ჩვენი აქცია მიმართულია ნაციონალური მოძრაობის წინააღმდეგ, რა მოწოდებებითაც ისინი გამოდიან ეს არის რუსეთის პოლიტიკის გატარება. ჩვენ ვგმობთ ამ ყველაფერს. ვეწინააღმდეგებით ამ ოფისის გახსნას. **ლევან მუხამანაძე,** ოზურგეთის პროგრესის სახლი: - ვუერთდები გამოსული ადამიანების სულისკვეთებას. ვფიქრობ, რომ ასეთი რუსული პროპაგანდის მქონე პარტიის ადგილი ქვეყანაში არ არის. ვფიქრობ არ შეიძლება მათი ხელშეწყობა. **მიწლია სალუქვაძე,** ოზურგეთის პროგრესის სახლი: -ეს ჩვენი ომიცაა და ვთვლი, რომ ოკუპირებულ ქვეყანაში ამ სახელმწიფოს პროპაგანდისტული განცხადებების გაკეთება არ შეიძლება

„რუსები ინტენსიურად ბომბავდნენ ირაქენს, იპულეზული გავსდით კოლონეთში გადასულიყავით“



ალიონი. ქეთევან ჯინჭარაძე და ტარიელ თავბერიძე ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სოფელ მთისპირიდან არიან. 2012 წლიდან ქეთევანი სოფელ მთისპირის გამგებელი იყო. შემდეგ ოჯახური გარემოებიდან გამომდინარე უკრაინაში გადავიდა და ბოლო 6 წელი კივეიდან ჩრდილოეთით, ქ. ირპენში ცხოვრობდა. რუსეთ-უკრაინის ომმა აიძულა ირპენი დაეტოვებინა და ამჟამად პოლონეთში, ქვემო სილეზიის დედაქალაქ ვროცლავშია. ვაზუთი „ალიონი“ ქეთევან ჯინჭარაძეს სოციალური ქსელის საშუალებით დაუკავშირდა:

– 6 წლის წინ ჩვედით კიევის ოლქის ქალაქ ირპენში. 40 ათასიანი პატარა ლამაზი ქალაქი იყო. ერთ-ერთი აქაური ლატვიანში, ქალაქ რიგაში ცხოვრობს და საკუთარი სახლი დროებით ჩვენ ვადმოვცა. ირპენში ქართული საცხოვრებელი გვქონდა. ჩვენი ბიზნესი ლევანის სახელზე იყო გაფორმებული, რაზედაც შესაბამისი საბუთები გვქონდა. ლევანი ტარას შევჩენკოს სახელობის კიევის აკადემიური უნივერსიტეტის საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტის სტუდენტია. ქალაქი ირპენი კიევიდან 30 კილომეტრშია და ლევანი უნივერსიტეტშიც დადიოდა და ჩვენს ბიზნესსაც უძღვებოდა. მე და ტარიელი საცხოვრებელი გუმოხობდით – არაღვრავდით ვიყავით, შესაბამისი ნებართვის მოლოდინში.

მიუხედავად იმისა, რომ კარგა ხანია გვესმოდა, რუსეთი უკრაინაზე თავდასხმას გეგმავს, არ გვეკერავდა და არც გვიფიქრია აქედან წამოსვლაზე. რატომღაც ასე ფიქრობდნენ იქაურებიც. ომი რომ დაიწყო, რამდენიმე ღამე სახლში ვიყავით, შემდეგ რუსეთის საოკუპაციო ძალები ინტენსიურად ბომბავდნენ ქალაქს, რადგან აქედან მათ გზა კიევისკენ ეხსნებათ და ძალიან საშიში დარჩა სახლში დარჩენა. ბოლო სამი ღამე თავშესაფარში გავატარეთ. შეება ის იყო, რომ თავშესაფარში შუქი გვქონდა და მობილურიც იჭერდა.

ჩვენ გვიკავშირდებოდნენ ახლობლები, მეგობრები. განსაკუთრებული იყო ოზურგეთის ყოფილი მაჟორიტარი დეპუტატის ზვიად კვაჭანტირაძის თანადგომა. როგორც იცით, იგი პოლიტიკაში მისვლამდე დიპლომატიურ სამსახურში იყო და შესაბამისად კავშირებიც აქვს. მისი ყოველდღიური კონტაქტების, რჩევების წყალობით ჩვენ შევძელით პოლონეთში გადასულიყავით.

ირპენის სარაკეტო დარტყმები გაძლიერდა. ოკუპანტებმა მშვიდობიან მოსახლეობას ცეცხლი ნაღმტყორცნებიდან გაუხსნეს. მშვიდობიან მოსახლეობაში იყო მსხვერპლი. ბავშვებიც დაიღუპნენ. ირპენის მერი ალექსანდრე მარკუშინი დღემდე უძღვება ქალაქის დაცვას, მაგრამ უნდა წამოვსულიყავით. ამდენი ლტოლვილის გამო ტრანსპორტი არ იყო საკმარისი, მე და ლევანი კიევისკენ ფეხით წამოვივით. მე ხერხემლის თიაქარი და თავის ნერვიული ტკივილები მაქვს. ძალიან მიჭირდა სიარული. მარცხენა ფეხს ძლივს ვამოძრავებდი. 30 კილომეტრი გავიარეთ ფეხით ლტოლვილების გრძელ კოლონებთან ერთად და კიევი ჩავედით. ძლივს მოვაღწიეთ რკინიგზის ცენტრალურ ვაგზონალში.

ვერ წარმოიდგენთ, რა მდგომარეობა იყო რკინიგზის ვაგზონალში. ათასობით ლტოლვილი კიევის ოლქის სხვადასხვა ქალაქიდან. დასავლეთ უკრაინაში უნდა წავსულიყავით ჩერნივცის მიმართულებით. მატარებელში მხოლოდ ქალებს და 14 წლამდე მოზარდებს უშვებდნენ. როგორღაც მოვახერხეთ და ლვოვის მიმართულებით მატარებელზე მოვხდით. მატარებელი გადაჭვდილი იყო ლტოლვილებით...

ლვოვში გავრელი ლტოლვილები დაგვხდა. ისინი ხარკოვიდან მოდიოდნენ.

„რუსებმა ერთხელ გავრა დაგვატოვებინეს. ძლივს მოუყარეთ ცხოვრებას თავი ხარკოვში და კვლავ ლტოლვილებად ვიქცეთ...“ ამბობდნენ ისინი. მათი დახმარებით პოლონეთში ვადმოვივით. ლვოვიდან 2-3 საათის სავალის გავლას მთელი დღე-ღამე მოვანდომეთ. გავიარეთ კრაკოვი, კატოვიცე და კვირას, (ინტერვიუ 14 მარტს შედგა) ქვემო სილეზიაში, ვროცლავში ჩავედით.

სადგურზე ერთ-ერთი პოლონური ოჯახი 2 ადამიანის დახმარების სურვილს გამოთქვამდა (ასეთები სხვებიც იყვნენ), წამოგვიყვანეს, სახლში დაგვაბინავენ.

საოცარი ხალხია ჩვენი მასპინძლები, – პეტრო და ალექსანდრა. ჩემი ჯანმრთელობის გართულებული მდგომარეობის გამო სიცხე მომცა. „კოვიდზე“ მიიტანეს ეჭვი და სასწრაფოდ კლინიკაში გამაქანეს. ვირუსი არ აღმომაჩნდა. ახლა ჩემი საფიქრალი უკრაინაში მყოფი მუულე (იგი ნიკოლაევიდან 100 კილომეტრში იმყოფება) და ის უკრაინელებია, რომლებიც ყოველდღიურად იბომბებიან და ვერ ახერხებენ ქვეყნის დატოვებას.



ვულოცავთ!
ვულოცავთ დიდგულ ქალბატონს, ციკლა ჭანიშვილს დაბადებიდან 84 წლისთავს.
ვუსურვებთ ჯანმრთელობას, ხანგრძლივ სიცოცხლეს, მისი შემოქმედებითი მოღვაწეობის დაბვირვებინებას.
დიდი სიყვარულით, უახლოესი ადამიანები.

200000 ლარი უკრაინის გადასარჩენად!

დეველოპერული კომპანია „ორბი ჯგუფი“ უკრაინის დასახმარებლად 200 000 ლარს გაიღებს.

ამის შესახებ ტელეკომპანია „იმედის“ გადაცემაში „ნოუსთან“ აღნიშნული კომპანიის გენერალურმა დირექტორმა ირაკლი კვერელიძემ განაცხადა.

– ჩვენი კომპანია უკრაინის დასახმარებლად 200 000 ლარს გაიღებს. რუსეთ-უკრაინის ომის დაწყების პირველი დღიდან უკრაინელების რაოდენობრივი ზრდა შეინიშნება ჩვენს კომპანიაში და მომავალში უფრო მეტის მოლოდინში ვართ. უკრაინიდან ლტოლვილი საკმაოდ ბევრი ოჯახი შევიფარეთ და მომავლშიც გავგვრებლებთ ამ

აქტივობას – თქვა ნოე სულაბერიძის გადაცემაში **ირაკლი კვერელიძემ**. ერთად გადავარჩინოთ უკრაინა

სახელმწიფო რწმუნებულს გურიის ავტონომიური რაიონის ბატონ ბიორბი ურუშაძეს ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერს ბატონ ავთანდილ თალაკვაძეს

პანდემიისაგან გამოწვეული მთელი რიგი რეგულაციების გაუქმების შემდეგ, ოზურგეთის მოსახლეობა მოუთმენლად ელოდება სარკინიგზო ტრანსპორტის – **ოზურგეთი-თბილისი/ლაშის/** და **–ოზურგეთი-ბათუმის** მატარებლების რეგულარული მიმოსვლის აღდგენას. მოგესწინებათრომ სარკინიგზო ტრანსპორტს მძიმე ეკონომიკურ მდგომარეობაში მყოფი ადამიანებისთვის როგორი სასიცოცხლო მნიშვნელობა აქვს, როგორც ფინანსურად, ასევე დროის დაზოგვის მიხედვით.

მოგმართავთ თხოვნით, გვიშუადგომოთ საქართველოს რკინიგზის

დუპარტამენტთან და დაგვეხმაროს გურიისათვის ფრიად მნიშვნელოვანი სარკინიგზო ტრანსპორტის რეგულარული მიმოსვლის აღდგენაში. მოსახლეობას თქვენი გულისხმიერების დიდი იმედი აქვს.

ქეთევან ჭანიშვილი.

ირაკლი მიქელაძე: „წარმატებულ ადამიანს პირველ რიგში უნდა უყვარდეს თავისი სამშობლო, თავისი პროფესია და უნდა ემსახუროს მას“.

ირაკლი მიქელაძე დაიბადა 1978 წელს, დაამთავრა ოზურგეთის მუნიციპალიტეტის დაბა ნარუჯის საშუალო სკოლა და ამის შემდეგ, სწავლა გააგრძელა ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში ქიმია-ბიოლოგიის ფაკულტეტზე. 2001 წელს მიენიჭა ბიოლოგიის მასწავლებლის კვალიფიკაცია. ირაკლი მიქელაძისათვის კარიერული განვითარება ამით არ შეწყვეტილა და იგი კვლავაც აქტიურად ცდილობდა საბოლოო მიზნისათვის მიეღწია და ამავე წელს ჩააბარა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის, ბათუმის ბოტანიკური ბაღის ასპირანტურაში, ბოტანიკის მიმართულებაზე. 2009 წელს კი დაიცვა სადოქტორო დისერტაცია, თემაზე „ვარდის (*Rosa L.*) ინტროდუქცია ბათუმის ბოტანიკურ ბაღში“ და მიენიჭა ბიოლოგიის დოქტორის აკადემიური ხარისხი. 2001-2011 წწ-ში მუშაობდა ბათუმის ბოტანიკურ ბაღში უფროსი მეცნიერთანამშრომლის თანამდებობაზე. 2011 წლიდან ბათუმის შ. რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის, ფიტოპათოლოგიისა და ბიომრავალფეროვნების ინსტიტუტის უფროსი მეცნიერ-თანამშრომელია. მუშაობს უცხო წარმოშობის (ადვენტურ, ინვაზიურ) მცენარეთა დასავლეთ საქართველოში გავრცელების თავისებურებებზე. გამოქვეყნებული აქვს 30-მდე სამეცნიერო სტატია. იგი ასევე **CENN-**ის (კავკასიის გარემოსდაცვითი არასამთავრობო ორგანიზაციების ქსელი) გუნდის წევრია. ირაკლი მიქელაძე **CENN-**ში პროექტის კორდინატორია აჭარის რეგიონში და ძირითადად, მუშაობს ტყის მდგრადი მართვის მიმართულებით მიმდინარე პროექტზე. ამასთან, იგი აქტიურად



დაგეგმილ აქტივობებს რეგიონში. ორივე გარემოსდაცვითი მიმართულებაა“. იგი აქვე გვეუბნება: „წარმატებაა სწორედ ის რომ, ერთ ავტორს მეც ვლევ ქვეყნის უკეთესი მომავლის შესახებ საჭმეში. წარმატებაა ჩემი ოჯახი და ყოველი გათენებული ბედნიერი დღე. წარმატებულ ადამიანს პირველ რიგში უნდა უყვარდეს თავისი სამშობლო, თავისი პროფესია და უნდა ემსახუროს მას“. ბატონი ირაკლი აქტიური მოქალაქეა, აქედან გამომდინარე, გასაკვირი არაა ის ფაქტი, რომ იგი გარემოსდაცვის კუთხით გამართულ არაერთ აქციასა თუ ღონისძიებაში იღებს მონაწილეობას. რაც შეეხება შაბათ-კვირას, ამ დროს ის ოჯახთან ერთად ატარებს, იგი არც უბრალო ადამიანის ცხოვრებას თაკილობს, აქვს მიწის ნაკვეთი და თავისუფლად დროს სასოფლო-სამეურნეო საქმიანობას ეწევა. უნდა აღინიშნოს, რომ მისთვის ცხოვრების ყოველი პერიოდი, საინტერესოა, მაგრამ გამოყოფს ბავშვობას, იმ ძვირფას პერიოდს, როდესაც მშობლები გვერდით ჰყავდა. ბატონი ირაკლი უსამართლობასა და სხვის ხარჯზე ცხოვრებას ვერ ეგუება, რისი დასტურიც მისი ცხოვრებაა, ადამიანისა, რომელმაც ყველაფერს თავისით მიაღწია. მისი საყვარელი გამონათქვამი გახლავთ, „ეცეც გაივლის“, „ღმერთი და ბუნების ძალა უკეთესი შედეგისთვის გვაშადადებს“, რომელთა გახსენებაც მას მუდმივად ძალა ემატება. ბატონი ირაკლი რჩევის სახით გვეუბნება შემდეგ: „რაც შეიძლება ბევრი იკითხეთ, ბევრი კითხვა ამაღლებს პასუხისმგებლობას. პასუხისმგებლობა და განათლება ყველაფრის საწინდარია“.

არის ჩართული და კურირებს ნიკო კეცხოველის სასკოლო კონკურს აჭარისა და გურიის რეგიონების სკოლებში და ახორციელებს საექსპერტო საქმიანობას გარემოს დაცვის კუთხით. მას ჰყავს მუდმივად ორი შვილი. როდესაც ვკითხეთ ბატონ ირაკლის თუ რა ნიშნავს მისთვის წარმატება და როგორი უნდა იყოს წარმატებული ადამიანი, მისგან ვიღებთ შემდეგ პასუხს, რომ „წარმატების საზომი ერთეული არ არსებობს, ყველა ადამიანი თავისი გადასახედით ახდენს ფაქტების კონსტანტაციას და შეფასებას. ჩემთვის წარმატებას წარმოადგენს ჩემი პროფესიული საქმიანობა სენსა და ბსუ-ში, რომლებიც დაკავშირებულია ერთმანეთთან, სენში აქტიური ურთიერთობა მიწვევს მოსწავლეებთან, ბსუ-ში სტუდენტებთან. სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობა დაკავშირებულია უცხო წარმოშობის მცენარეული სახეობების გამოვლენასა და ეკოლოგიური რისკების შეფასებაში, ხოლო სენის პროექტით კორდინაციას უწევს ტყის მდგრადი მართვის საკითხებზე

ნათია სურმაანიძე

2022-2024 წლებში სახელმწიფო და მუნიციპალურ საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთებს დაარეგისტრირებს



ოუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო 2022 - 2024 წლებში საქართველოს ყველა მუნიციპალიტეტში (გარდა ოკუპირებული ტერიტორიებისა და თვითმმართველი ქალაქებისა: თბილისი, ბათუმი, ქუთაისი, რუსთავი, ფოთი) სისტემური წესით ეტაპობრივად აზომავს და კერძო, სახელმწიფო ან მუნიციპალურ საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთებს დაარეგისტრირებს. რეფორმის მიმდინარეობასთან დაკავშირებით საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციაში შეხვედრა გაიმართა, რომელსაც მთავრობის რეგიონებთან ურთიერთობის დეპარტამენტის უფროსი, **ლერი ბარნაბიშვილი**, დეპარტამენტის თანამშრომლები, რეგიონების სახელმწიფო რწმუნებულები, იუსტიციის მინისტრი რატი ბრეგაძე, იუსტიციის მინისტრის პირველი მოადგილე **თამარ ტყემლაშვილი** და საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარე **ოლეგ (ბაჩო) თორთლაძე** ესწრებოდნენ. იუსტიციის სამინისტროს წარმომადგენლებმა რეგიონებთან ურთიერთობის დეპარტამენტის თანამშრომლებს და სახელმწიფო რწმუნებულებს რეფორმასთან დაკავშირებულ კითხვებზე დეტალური და ამომწურავი ინფორმაცია მიაწოდეს. იუსტიციის სამინისტროს ინფორმაციით რეფორმა ქვეყნის 1000-ზე მეტ ადმინისტრაციულ ერთეულს ანუ 4000-ზე მეტ სოფელს მოიცავს და ჯამში დაახლოებით 1,2 ჰა მიწის ნაკვეთები დაარეგისტრირდება. მიწის სისტემური რეგისტრაცია 2025-წლის პირველ იანვრამდე დასრულდება. სისტემური რეგისტრაციის ფარგლებში უფასოა შემდეგი მომსახურება: უფლების დამადასტურებელი დოკუმენტების მოძიება და სისტემატიზაცია; მიწის ნაკვეთის საკადასტრო აგეგმვითი/აზომვითი ნახაზის მომზადება; საკადასტრო მონაცემების ცვლილება; საჯარო რეესტრში მიწის ნაკვეთის რეგისტრაცია; საკადასტრო აგეგმვითი/აზომვითი ნახაზის გარეშე რეგისტრირებული მიწის ნაკვეთის აზომვა და მონაცემების დაზუსტება; გარიგებაზე მხარეთა ხელმოწერების დამოწმება; დაგების გადაწყვეტა (სანოტარო მედიაცია); მართლზომიერ მფლობელობაში არსებულ და თვითნებურად დაკავებულ მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარება; ფაქტების კონსტატაცია.

გურულ მოჯირითთა უცნობი დეტალები სიკო მსხალაძე

სიკო მსხალაძე არის 80 წლის. ბაბუა არ ახსოვს. მამის მილორის (გარდაცვლილია), გადმოცემით სიკო დაბადებულია 1857 წელს, სოფელ მაკვანეთში. სოფელი მაკვანეთი შედიოდა სოფელ შემოქმედის შემადგენლობაში, ასევე სოფელი კვირიკეთიც, სადაც ცხოვრობდნენ ძმები კალანდარიშვილები. ამბობენ ეს ძმები პირველად ცხოვრობდნენ მაკვანეთში და შემდეგ გადასახლდნენ კვირიკეთში. (სოფლები ერთმანეთს ესაზღვრება). სიკო გლეხი იყო, ჰქონდა მიწის ნაკვეთი, რომელსაც ამუშავებდა, აშენებდა თხილს და გურიაში ცნობილ ნაცარა ვაშლის ხეებს. ის მხოლოდ ერთხელ, 1893 წელს ყოფილა ამერიკაში, ივანე მახარაძის გუნდში ერთი წლით. ოჯახში შემორჩენილია ამ მოგზაურობის ერთი ფოტო. ბაბუის გარდაცვალების შესახებ ბატონმა გვიმ მაამომ: „1905 წლის რევოლუციის დროს გურიაში მოქმედებდა სადამსჯელო რაზმი, ალიხანოვის მეთაურობით, მან დასაჯა ამბოხებული გურულები, გადაწვა ბაზარი და ქუჩა, რომელსაც 1905

წლის ქუჩა ერქვა 1991 წლამდე. გურიიდან ალიხანოვი გაწვიეს - გააგდეს, მაგრამ დარჩა სადამსჯელო „ინგუშთა“ რაზმი. (ინგუშები კავკასიის მთიელი მცხოვრებია). ერთ დღეს გურული ფირალები მელქისედეკ გუნთაიშვილთან ერთად ქეფობდა მელქისედეკის საკოლესთან, სოფიო თიკანაძის ოჯახში მაკვანეთში, სიკოს მეზობლად. (თავად ფირალი გუნთაიშვილი ხალხს უყვარდა, ფირალებს შორის ყველაზე დიდხანს მან იცოცხლა). ქეფის შესახებ იცოდა ერთმა მოლაღატემ და დასამინა, ფირალები ცდილობდნენ თავის დაღწევას, დახმარება სთხოვეს სიკოს რომელსაც კარგი ხარები, ჰყავდა სამშვიდობოს გაგიფყანეო. სიკო უარს ვერ ეტყოდა და ხარები შეაბა. როცა შუა მდინარეში შევიდა რაზმელები მდინარეს მოადგნენ, სიკომ ხარებს ხელი გაუშვა, ხარები მდინარეში დაიხრჩო, ყანალები წყალში გადაკვიდნენ. მდინარედან გავიდნენ, სიძინდის ყანაში დაიმალნენ და თავდაცვაზე გადავიდნენ. ამ შეტაკებაში რაზმის ხელმძღვანელის ცოლისძმა მოკლეს, ყანალებმა ტყეს შეფარეს თავი და რაზმელები მთიელები იყვნენ და


სისხლის აღება მოინდომეს. ყველაფერში სიკო დაადანაშაულებს. სიკო ერთი წლის განმავლობაში იმალებოდა, ხანდახან თუ გამოჩნდებოდა სახლში მისი უფროსი შვილი მილორისი დაიჭირეს 1908 წელს, როგორც მძევალი. ერთი წლის შემდეგ სიკოს უფროსი ქალიშვილის ოლიას ქორწილი იყო. მეზობლებმა უთხრეს, რომ ერთი წელია გასული, ეს უკვე დავიწყებული საქმეა. მაშინ როცა საქორწილო სუფრას ამზადებდნენ სიკო მეზობელთან იყო. მოლაღატემ - სოფლის მამასხლისმა გასცა, მივიდა შეარაღებული რაზმი, სიკომ გაქცევა მოინდომა, კარები გააღო, მაგრამ იქვე ჩაცხრილეს. ეს იყო 1909 წელს. მაშინ სიკო 52 წლის ყოფილა. სიკოს ჰყავდა 6 შვილი: მილორისი, კაკილო, შალვა, ოლია, ვანიჩკა და გიორგი. მილორისი, როგორც ანტიმთავრობა ელემენტი, 1930 წელს გადაასახლეს ყარაგანდაში იქ იყო 9 წელი 1939 წლამდე. გარდაიცვალა 1981 წელს. მეორე შვილი გიორგი სოციალდემოკრატი, გურიის კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე, დაიჭირეს და მეტეხის ციხეში ჩასვეს,



პირველ რიგში, მარცხნიდან მარჯვნივ ზის: მსხალაძე სიკო, წითლიძე, მახარაძე, ცინცაძე, ჯორბენაძე, მაქსიმელიშვილი ჩხარტიშვილი ლუკა, იორაშვილი, მგალობლიშვილი. კობალაძე მიხაკო (გურული ცხენოსნები ჩიკაგოში). ტუბერკულოზის მიძიე ფორმა ჰქონდა. გათავისუფლებიდან 1 თვეში გარდაიცვალა. სოფელ მაკვანეთში სიკო მსხალაძის შვილის მილორისის ვაჟის გივი მსხალაძის ოჯახი ცხოვრობს. **მანანა ლომაძე** ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ისტორიული მუზეუმის ფონდების მცველი (ინტერვიუ ჩაწერილია 2001 წლის 15 აგვისტოს სიკო მსხალაძის შვილიშვილთან გივი მსხალაძესთან სოფელი მაკვანეთში.)

ეროვნული მოძრაობა რევოლუციის პერიოდში

ილია ჭავჭავაძის მოღვაწეობა საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის შესაქმნელად



საქართველოს ავტონომიის იდეა და პარტიული ავტონომისტები

2. პოლემიკა ავტონომიის თაობაზე 1905 წელს. გაზეთმა „საქართველო“ ავტონომიის იდეა პოპულარული გახადა. 1903-1904 წლებშივე ნათელი გახდა, რომ საქართველოს ავტონომიის იდეას ბევრი მოწინააღმდეგე გამოუჩნდებოდა. ავტონომიის იდეის წინააღმდეგ გამოვიდა ნოე ჟორდანი, რომელმაც 1904 წელს ჟურნალში „ქართული ნაციონალისტები“ ნაშრომი პრაქტიკულად გაზეთ „საქართველო“ წინააღმდეგ იყო მიმართული. ავტორი ავტონომიის მოთხოვნას პრინციპულად ეწინააღმდეგებოდა და მას მუშათა მოძრაობისათვის საზიანოდ მიიჩნევდა. პოლემიკა ავტონომიის თაობაზე განსაკუთრებით მწვავედ წარიშობა 1905 წლიდან, რველუციის დაწყების შემდეგ. საქართველოს ავტონომიის იდეას მხარს უჭერდა გაზეთ „ცნობის ფურცელი“, წინააღმდეგე იყო სოციალ-დემოკრატიული ჟურნალი „მოგზაური“. უნდა აღინიშნოს, რომ ავტონომიის თაობაზე გაზეთები „ცნობის ფურცელი“ და „კვალი“ ჯერ კიდევ 1903 წელს დაუპირისპირდნენ ერთმანეთს. კვლელთაგან განსაკუთრებით ირაკლი წერეთელი და ფილიპე მანარაძე აქტიურდნენ. 1903 წელს „კვალი“ გამოქვეყნებულ წერილში ირაკლი წერეთელი ავტონომიის მოთხოვნას, ისევე, როგორც ქართული ენის დაცვას, „გაცვეთილ პატრიოტიზმს“ უწოდებს, გმობს წარსულის განდიდებას და ქართველებს საკაცობრიო იდეებისათვის ბრძოლისაკენ მოუწოდებს. აი, როგორ ხსნიდა ირაკლი წერეთელი თავის მკვეთრად უარყოფით დამოკიდებულებას ქართველი ერის წარსულისადმი: „მთელ ამ წარსულში არც ერთხელ არ ჩაჰყენია ხალხს გულში ბედნიერებისა და მშვიდობიანობის სხვი(...). მთელ ამ წარსულში არც ერთხელ ხალხის უმრავლესობას არ მოუხსნია მხრებიდან მძიმე ტვირთი სხვისი ბატონობისა.“ მომდევნო ხანებში ქართველი ერის წარსულისადმი უარყოფითი დამოკიდებულება ირაკლი წერეთელმა საქართველოს ეროვნული ავტონომიის იდეისადმი უარყოფით

დამოკიდებულებაში გადაზარდა. ქართველი სოციალ-დემოკრატები მიიჩნევდა, რომეროვნული ავტონომია სახელმწიფოებრიობის ალტერნატივას წარმოადგენდა, ხოლო სახელმწიფოებრიობის ალტერნატივა – წარსულში დაბრუნებას. საქართველოს ეროვნულ ავტონომიაზე სვლა-ბაასი, როგორც აღენიშნეთ, გაზეთმა „საქართველო“ ჯერ კიდევ 1903 წელს დაიწყო. იმხანად ეს აკრძალული თემა იყო. 1905 წლიდან კი – უკვე ხელისუფლებისაგან ნებადართული. 1905 წლიდან საქართველოს ეროვნული ავტონომიის შესახებ საინტერესო მასალის გამოქვეყნება დაიწყო „ცნობის ფურცელში“. ქართულ სინამდვილესთან ერთად დიდი ადგილი ეთმობოდა ევროპისა და ამერიკის სახელმწიფოებში ავტონომიური მოძრაობის ისტორიის გაშუქებას. დროდადრო გაზეთი მკითხველს აცნობდა, თუ რას წარმოადგენდა პროტექტორატი, ფედერაცია და კონფედერაცია. 1905 წლის ერთ-ერთ ნომერში გამოქვეყნებულ წერილში კითხულობთ: „ფედერაციაში ყველაზე უფრო შეთანხმებულია დამოუკიდებლობა და ერთობა. ეროვნების განვითარებისათვის საჭიროა ერთი და მთელი“ ფედერაციის მნიშვნელობის აღიარებასთან ერთად, გაზეთი მიიჩნევდა, რომ ფედერაციის დაარსებას წინ უნდა უძღოდეს ავტონომიის დაარსება: „ერთობა ერთა შორის დამყარდება მხოლოდ მაშინ, როდესაც ერები იქნებიან ყველანი ერთნაირად თავისუფალნი, თანასწორნი, იქნებიან აღჭურვილნი ერთნაირი უფლებებით.“ „ცნობის ფურცელი“ სვამს კითხვას: „რა არის ჩვენი ავტონომია? ეს საუკეთესო დემოკრატიული, ხალხური წეს-წყობილებაა, რომელიც კი შესაძლებელია დღევანდელ პირობებში. ჩვენი ავტონომია არის თვითმმართველობა, თვითმმართველობის პრინციპის აღსარება არა მარტო სიტყვით, არამედ მისი განხორციელება საქმით. ჩვენ ვთხოვლობთ, რომ ხალხი თვითონ იყოს თავის თავის მმართველი.“ ქართველმა სოციალ-დემოკრატებმა გაზეთ „ცნობის ფურცლის“ პუბლიკაციებს ასეთი შეფასება მისცეს: „ნაციონალისტებს უნდა საქართველოს სამეფოს ალტერნატივა და ბატონ-ფეოდალის დაბრუნება; ავტონომია უნდა

არ თმობდა. 1905 წლის გაზაფხულზე გამოქვეყნებულ ერთ-ერთ წერილში კითხულობთ: „გერმანიაში პროლეტარიატის შეერთებას სხვა და სხვა სახელმწიფოების ავტონომიურმა თვითმმართველობამ სრულიად ხელი არ შეუშალა იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ ავტონომია კარ-ჩაკეტვითაა კი არა, ადგილობრივ ინტერესების დაკმაყოფილებას აღნიშნავს ადგილობრივ მკვიდრთა თვით-მოქმედების საშუალებით.“ გაზეთში გამოქვეყნებულ მეორე წერილში აღნიშნულია: „სწორედ მშრომელი ხალხის კლასობრივი ინტერესები მოითხოვს, რომ საქართველოში დამოუკიდებელი, დემოკრატიული თვითმმართველობა იქმნეს დაარსებული. მშრომელ ხალხს სწორედ ამ თვითმმართველობის ფარგლებში შეუძლიან საუკეთესოდ დაიცვას თავისი ინტერესები და პრაქტიკულად მეტი ბარაკ მისცეს იმ ბრძოლას, რომელსაც კლასობრივი ბრძოლა ეწოდება.“ ავტონომიის იდეის პოპულარიზაციას ხელს უშლიდა ის გარემოება, რომ ქართველი სოციალ-დემოკრატები მუშებსა და გლეხებში დიდი გავლენით სარგებლობდნენ და ცილისმწამებლური წერილებით ხელს უშლიდნენ საქართველოს ეროვნული ავტონომიის იდეის საზოგადოებაში დამკვიდრებას. ჟურნალი „მოგზაური“ ასე განმარტავდა ქართველი სოციალ-დემოკრატების პოზიციას: „ჩვენ ეროვნულ ავტონომიას დღესაც იმ თვალთ ვუყურებთ, როგორც წინეთ, რომ მასში ჩვენ წმინდა ბურჟუაზიულ-ნაციონალისტურ მისწრაფებას ვხედავთ და სხვა არაფერს.“ პოლემიკა საქართველოს ეროვნული ავტონომიის თაობაზე 1905 წელს არ დასრულებულა. იგი დიდი ინტენსივობით 1906 წელსაც მიმდინარეობდა. წინააღმდეგობა ავტონომისტებსა და ქართველ სოციალ-დემოკრატებს შორის სულ უფრო ღრმავდებოდა და ქართველი საზოგადოების ინტერესს იწვევდა. **3. ეროვნული ავტონომიის საკითხი რუსეთის იმპერატორ ნიკოლაი II-თვის თბილისის გუბერნიის თავადაზნაურობის კრების მიერ გაგზავნილ ადრესში.** იმპერატორმა ნიკოლაი II-მრევოლუციის დაწყებიდან მალე, 1905 წლის 18 თებერვალს, გამოსცა მანიფესტი, რომელშიც აღნიშნული იყო: „(...) განვიზიანებ, შექვენითა, დღეიდან მივინძო ხოლმე დირსულნი, ხალხის ნდობით აღჭურვილნი პირნი კანონების განხილვისა და შემუშავებაში მონაწილეობის მისაღებად“, რისთვისაც კეთილად ვგძნობ საჭიროდ, „დავარსო განსაკუთრებული საბჭო, რომელიც შეიმუშავებს საშუალებას ჩემის სურვილის განსახორციელებლად“ მანიფესტით დაპირებული სახელმწიფო სათათბიროს მოწვევის დებულების პროექტი შინაგან საქმეთა მინისტრ ალექსანდრ ბულიაინს უნდა შეემუშავებინა. თავადაზნაურობამ გადაწყვიტა ესარგებლა 18 თებერვლის მანიფესტით. 1905 წლის 31 მარტს გაიმართა თბილისის გუბერნიის თავადაზნაურობის საგანგებო კრება, რომელსაც უნდა შეემუშავებინა ნიკოლაი II-თვის გასავაზნა ადრესის ტექსტი. რადგან ერთ ტექსტზე ვერ შეთანხმებულან, წარმოდგენილი ყოფილა ორი პროექტი. მეორე პროექტის ავტორები იმპერატორს სთხოვდნენ მოწვეული ყოფილიყო რუსეთის დამფუძნებელი კრება, რომელსაც საქართველოსათვის ავტონომიური თვითმმართველობა უნდა მიენიჭებინა. კრების უმრავლესობამ მხარი დაუჭირა ადრესის პროექტის მეორე ვარიანტს და გამოყო კომისია, რომელსაც უნდა შეემუშავებინა

ადრესის ტექსტი საქართველოს ავტონომიის თხოვნით. კომისიაში არჩეული იქნენ: ილია ჭავჭავაძე, მიხეილ გედევანიშვილი, მიხეილ მაჩაბელი, ვასილ ყიფიანი, ვასილ რცხიალაძე, ალექსანდრე ყანჭელი. კომისიამ ადრესის პროექტი შეიმუშავა, რომელიც 1905 წლის 1 აპრილს განიხილა თბილისის გუბერნიის თავადაზნაურობის კრებამ. ადრესის ტექსტის საბოლოოდ დამტკიცებად კრებაზე ცხარე კამათი გაიმართა. გაზეთ „ცნობის ფურცელში“ 1905 წლის 2 აპრილს გამოქვეყნებული მასალის მიხედვით შეიძლება ამ კამათის შინაარსი აღვადგინოთ: **„მ. მაჩაბელი:** დღეს დავკვიდვასა და ვადავლებო დრო, სწორედ ისეთი, როგორც ამ ასის წლის წინად გამოიარა ჩვენმა სამშობლომ. კრიტიკულის თვალთ რომ განვსაჯოთ წარსული, დავინახათ, რომ რუსეთის გვირგვინისათვის უფროდ ჩვენი ქვეყანა, მაგრამ ბიუროკრატია ხელს უშლიდა, რომ მათ ეს სიყვარული საქმედ ექციათ. ამ ბიუროკრატის უნდა შეგვბრძოლოთ ჩვენ ყველანი. დღევანდელი ქანც-გამოლევული საქართველო არ უნდა ოცნებოდეს პოლიტიკურად განკერძოებას რუსეთისაგან. ამ ოცნებით ჩვენ განვარისებთ რუსეთის საზოგადოების საუკეთესო ელემენტებს. ამ როგად არსად არ მოუპოვებია ხალხს ავტონომია(...). შეუერთოთ ჩვენი ხმა დიდი რუსეთის ხმას და მოვიტხოვოთ ის, რასაც ისინი ითხოვენ და არა – ავტონომია. **გ. მუსხელიშვილი:** გავისენოთ დიდებული აზრი – „მეცით ხალხს თავისუფლება, რათა შეძლება ჰქონდეს შეთვისოს იგი.“ კამათი იმის შესახებაა, მოზადებულა თუ არა ჩვენი ხალხი ავტონომიისათვის, ვითხოვთ თუ არა ავტონომიათ. თუ არ მოგვეცა ავტონომია და პეტერბურგში დაარსდა რუსეთის მმართველი ცენტრალური ორგანო, იქ ჩვენი წარმომადგენლთა რიცხვი მეტად მცირე იქნება და ვერ მივაღწევთ საწარგულს. პოლიტიკური ავტონომია სეპარატიზმს, რუსეთისაგან განცალკევებას არ ნიშნავს. მხოლოდ ჩვენ ვითხოვთ, რომ აქ, ტფილისში, დაარსებული იქნას ჩვენთვის პარლამენტი. მეცით ხალხს საშუალება, მოაწყოს თავისი საკუთარი საქმე და თქვენის თვალთ დანახათ, რომ იგი შეიძენს თვით-მმართველობის უნარს. **დავჯორჯაძე:** ბ-ნ მაჩაბელს ან არ ესმის, რა არის ავტონომია, ან განგებ ამხინჯებს ავტონომიის მნიშვნელობას. მაქცით ყურადღება ფინლიანდიის და პოლონეთის ყოფილ ავტონომიას და მიხვდებით, რა მნიშვნელობა აქვს ამ მოვლენას ხალხის ცხოვრებაში. **გ. გურული:** (...) ჩვენ დიდ ხანს ვსდუმდით და ესეა ვიფიქროთ იმაზე, თუ რა წააგეს იმ ერებმა, რომელნიც არა სდუმდნენ და რა მოვიგეთ ჩვენ ამ ხანგრძლივ დუმილით. ჩვენ ვსდუმდით, როდესაც საქართველოს ეკლესიას ქონება ჩამოართვეს, სომხები კი არ სდუმდნენ, როცა მათ ეკლესიას ქონება ჩამოართვეს, ამიტომ მთელი ქვეყანა მათ თანაუგრძობს, ჩვენზე კი ამბობენ, მკვდარი ხალხიათ. მაგრამ ჩვენ მკვდარი არ ვართ, ჩვენი სული დაჩაგრული არ არის. ჩვენთვის მეტად საჭიროა ავტონომია. მეცნიერება ამტკიცებს, რომ ავტონომია ერთადერთი გზაა იმისი, რომ ხალხის ბედი კარგის გზით სწავდებოდეს. **(გაზრძელება იმხანა)**

ომის ტრაგედიის თემა სცენაზე და წარმოსახვის საშინელი განცდა



ოზურგეთის სახელმწიფო თეატრის ახალი სცენა, მესამე სივრცე, დათა თავადის პიესის „დედაომი“ პრემიერით გაიხსნა. რეჟისორი – საბა ასლამაზიშვილი, მხატვარი – თამარ ოხიკიანი, კომპოზიტორი – ვახტანგ გვახარია, ტექნიკური რეჟისორი – გიორგი ბაბილოძე; მსახიობები: ზინა – თამარ მდინარაძე, თინა – ციცი ბუცხრიკიძე, მანანა – შორენა გვეტაძე, კურიერი – ნიკა ძნელაძე.

შემოქმედებითი კოლექტივი სპექტაკლის დასაწყისივე ამზადებს მაცურებელს, მძაფრი სცენისთვის. ეს არის ომში ადამიანი და ომი, თავად ადამიანში. ამ პერიოდისთვის დამახასიათებელი თვითგადარჩენის ინსტიტუტი და საშინელი ყოფა, რაც ბოროტებად მოსდებია ქვეყნიერებას. თემის განსხვავებული გადაწყვეტილი, ნაომარ სივრცეში, პერსონაჟები, თავიანთ უსუსურობას მანვე მწერების თვისებებსა და ქმედებებზე საუბრით ჩრდილავენ და ამ ბოროტების ნაწილი ხდებიან თანდათან. შედიან კალიების როლში და იქვე

რჩებიან. ეს არის ადამიანი – კალიას ფორმირება, მკვლელ, კაციჭაბია პიროვნებად. ომი ყველაფერს ანადგურებს, ომი ყველაფერს მოიცავს, სიცრუეს, აღვირახსნილობას, მტაცებლობას, სისასტიკეს, მკვლელობას, ქურდობას. თავგანწირვით იბრძვის ციცი ბუცხრიკიძის პერსონაჟი, ამ ყველაფრისგან თავდასაღწევად, მაგრამ უშედეგოდ. მინც იმავე ჭაობში ეშვება და ცხოვრებას იქვე აგრძელებს. პერიოდულად იღვიძებს მასში სიბრალული, ისევე, როგორც დანარჩენებში, მაგრამ ეს სიბრალულიც წუთიერია. რადგან მძლავრობს თვითგადარჩენის ინსტიტუტი.

– „ომის დროს ყველა ერთნაირად იქცევა, მთავარია ცოცხალი იყო. ომს ვერასოდეს გაივებ, სანამ თავად არ გახდები ომი. .. როცა საკუთარ მკვლელებს აჩენ“. თამარ მდინარაძე, ამ ფრაზებით და პლასტიკური გარდასახვით, კიდევ მეტად ამძაფრებს დროში ჩარჩენილ მოვლენებს. სადაც, მიცვალებულთა განსასვენებლები, მატა-



რებლის ვაგონია სიმბოლურ მეზავრებთან ერთად. ეს თითქოს დროის დინებაა, მაგრამ, დრო მინც გაჩერებულია. ნიკა ძნელაძის პერსონაჟი ამ მძიმე ყოფის მსხვერპლადაა ქცეული. სცენაზე გაბნეული ლობიოს მარცვლები, იმ დაუთვლელ საშინელებებს ასახავს, რაც ომს მოჰყვება თავად. „ყველა ომი მე ვარ.“ ეს არ არის ერთი ომი, ან ერთი ქვეყნის უბედურება. ეს ომთა ჩამონათვალაა და თანაც ძალიან ბევრი. მათ შორის, სამოქალაქო ომები, თავისი სასტიკი ბუნებით.

– „არაფერი ისე არ აერთიანებს ხალხს, როგორც საერთო უბედურება“. პერსონაჟის ფრაზები, მთავარ თემას უბრუნდება პერიოდულად. რეალობა კი ასეთია, ომი ადამიანებს იწირავს და რაოდენ სამწუხაროც არ უნდა იყოს, თავად ადამიანები არიან ყველა ომის შემოქმედნი, სამყაროს უბედურება. ამიტომაც ხარხარებს უკეთური და შორენა გვეტაძის პერსონაჟი, თავისი მძიმე ცეკვით. გამოხატავს უკეთურის ზეობას. მსახიობები სპექტაკლში, გარდასახვის ნიჭიერებით, გასაოცარი პლასტიკით, ინდივიდუალური ვესტებით, სასცენო ყოფას, კიდევ მეტად რეალურად წარმოაჩენენ და კარგად მოაქვთ საოქმელი მაცურებელთან.

გავესაუბრეთ სპექტაკლის რეჟისორს:

– რამ გადაგაწყვეტინათ, ამ თემით ჩამოსულიყფით ოზურგეთის თეატრში?
საბა ასლამაზიშვილი: „.. პირველ რიგში, ალბათ ყველაზე მნიშვნელოვანია, რომ ოზურგეთის თეატრში იხსნება კიდევ ერთი, ახალი, არასტანდარტული, ექსპერიმენტული სათეატრო სივრცე. ის ფაქტი, რომ სწორედ ჩემი სპექტაკლით იხსნება თეატრში მესამე სივრცე, მასხარებს და ჩემთვის მოტივაციის მოძეცემა. პირობით სცენაზე გათამაშდება თანამედროვე ქართული დრამატურგის, მსახიობისა და რეჟისორის დათა თავადის პიესა „დედაომი“, რომელიც შეიქმნა 2008 წლის ომის ინსპირაციით, ამ მოვლენის ნასხლეტებზე, იმპულსებზე, შერბენებზე, სივრცეში, რომელიც არ არის სცენა. შესაბამისად, დარღვეული უნდა იყოს სცენის აკადემიური კანონები. ჩვენ გვიწევს არა შეექმნათ გარკვეული მოცემულობა სცენაზე, არამედ არსებულიდან გამომდინარე, ვმოქმედებთ. რაღაც კეთდება. პირიქით, რაც არ ახალი არც მსოფლიოში და არც ჩემს შემოქმედებაში.

– როცა პიესაზე დაიწყეთ მუშაობა, მაშინ არ იყო ომი, თუცა

ვფიქრობ, რომ ჩვენ ქვეყანაში, რომელიც ოკუპირებულია, ომი სულ არის. შესაბამისად, თავიდანვე მინტერესებდა ომი. რა ემართება ადამიანს ომის დროს, როგორ იბრძვის გადარჩენისთვის, სიცოცხლისათვის, იმისთვის, რომ უბრალოდ გააგრძელოს ცხოვრება. ბევრი ბარიკადა, ბევრი დაბრკოლება, მაგრამ მთავარი მოტივაცია არის გადარჩენა; ნაჩვენებია, როგორ ცუდ შედეგებს იწვევს ის ადამიანების ფსიქიკაში. ამას დაემთხვა უკრაინაში ომი და გაერთიანდა ეს ორი ამბავი.

– როგორი იყო აქაურ მსახიობ-

არ ყოფილიყო ეს მხატვრობა, რადგან ყველაზე მნიშვნელოვანია მსახიობი და სცენა.

გაბო მდინარაძე, მსახიობი, საქართველოს სახალხო არტისტი: – მთლიანობაში სრულიად ახალი ფორმაა, ვფიქრობ, მნიშვნელოვანი მინც სცენაზე თამაშია.

ციცი ბუცხრიკიძე, მსახიობი : როგორი იყო ამ როლზე მუშაობა?

– როდელი იყო, როცა დაიწყეთ ამზე მუშაობა, პრემიერა დაგეგმილი იყო 2021-ში. საერთოდ არ ვიცოდით მიმდინარე მოვლენების შესახებ არაფ-



ებთან მუშაობა?

– ძალიან საინტერესო პროცესი იყო. დღეს იმდენად ახლოს არის ომი ჩვენთან, იმდენად ვერძობთ ამას, რომ ძელი იქნებოდა მცირედი მოტყუება. ყველაფერი ძალიან რეალური უნდა ყოფილიყო. ვფიქრობ პროცესი შედგა და შედეგი მაცურებელმა უნდა ნახოს.

– ჩვენი თვალთახედვით, შორენა გვეტაძის პერსონაჟი, არის ომის შემდეგში ზემო ბოროტებისა. ჩვენ ასე დაეინახეთ. თქვენც ასე ფიქრობთ?

– ამ მიმართულებით ვითარდება პერსონაჟი. ზუსტად მასეა.

– ექსპერიმენტულ დარბაზში როგორ შეხვლით ამ სპექტაკლის მორგებას?

– როცა გარემოს ირჩევ, გარემომ უნდა გიკანანახოს ფორმაც და ამბავიც, ესეც დიდი გამოწვევა იყო, რომ ამ სპექტაკლით უნდა გასწილიყო ექსპერიმენტული სივრცე ოზურგეთში. ეს კიდევ უფრო მეტად განავითარებს მაცურებელს და გემოვნებას.

თამარ ოხიკიანი: – პროფესიონალი მხატვარი, მოწვევით მუშაობს სხვადასხვა თეატრში.
 – მიწოდდა, რომ ზუსტად აღქმადი

ერი. თინა, ჩემი გმირი ცოტა მატყუარა, მაგრამ კეთილი გმირია, თუცა ბოლოს მონსტრად გადაიქცევა.

ვასო ჩიგოციძე, თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელი: – ჩვენი ოცნება ნელ-ნელა ხდება. ეს არის მესამე სივრცე. 7-8 მარტი ეს იქნება ისტორიაში ახალი სივრცის გახსნა. ზაფხულში გაიხსნება მეოთხე სივრცე.


იქნება მეხუთე დია სივრცე, მეექვსე ლიტერატურული სივრცე, სადაც შეიკრიბებიან ყველანი, როგორც ლიტერატურული კავშირები, შეხვედრების ადგილი. მოხარული ვარ, რომ ეს სივრცე გაიხსნა და დარწმუნებული ვარ ბევრი საინტერესო რამ მოხდება.

– როგორ ფიქრობთ, ამ სპექტაკლით შეძლო რეჟისორმა თავისი საოქმელის თქმა?

– ძალიან საინტერესო ახალგაზრდაა, საინტერესო იყო და ჩვენც ხელი შევეწყვეთ, ძალიან კარგი მსახიობები გვყავს. კიდევ ბევრ სიახლეს მიიღებს მაცურებელი ჩვენგან.

ნიკო ნიკოლაიშვილი.

ლანჩუთელი გიორგი შოთაძე 23-წლამდე ახალგაზრდებს შორის პირველად გახდა ევროპის ჩემპიონი ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში. ჩემპიონატი ბულგარეთის ქ. პლოვდივში ჩატარდა. საქართველოს ნაკრებიდან გიორგის შოთაძის გარდა ოქროს მედლები მოიპოვეს გიორგი და დიეგო ჩხიკვაძეებმა (67 და 72 კგ.), გიორგი ქაცანაშვილმა (97 კგ.).



ლანჩუთელი გიორგი შოთაძე 23-წლამდე ახალგაზრდებს შორის პირველად გახდა ევროპის ჩემპიონი ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში. ჩემპიონატი ბულგარეთის ქ. პლოვდივში ჩატარდა. საქართველოს ნაკრებიდან გიორგის შოთაძის გარდა ოქროს მედლები მოიპოვეს გიორგი და დიეგო ჩხიკვაძეებმა (67 და 72 კგ.), გიორგი ქაცანაშვილმა (97 კგ.).

ოზურგეთელმა **ირაკლი ბიძის-ტარიშვილმა** (60 კგ) ფინალში დამარცხდა და ვერცხლის მედალს დასჯერდა. ვერცხლი მიიღეს ასევე დავით სოლოლაშვილმა (77 კგ.), ბექა გურულმა (82 კგ.) ბრინჯაო 130 კგ. წონით კატეგორიაში გიორგი ცოფურაშვილმა მიიღო.

ჩემპიონი გიორგი შოთაძე 21 წლისაა. 2015 წელს იგი ევროპის ჩემპიონატის ვერცხლის პრიზორი გახდა ჭაბუკებს შორის (46 კგ.), 2016

წელს ჭაბუკებს შორის ევროპისა და მსოფლიოს ჩემპიონი (50 კგ.); 2018 წელს – საქართველოს ჩემპიონატის ბრინჯაოს პრიზორი (67 კგ.); 2019 წელს – ახალგაზრდებს შორის ევროპის და მსოფლიოს ჩემპიონი (60კგ.)

გუნდურ ჩათვლაში საქართველოს ნაკრებმა(4 ოქრო, 3 ვერცხლი, 1 ბრინჯაო) 183 ქულა მოაგროვა და პირველ ადგილზე გავიდა!

საქართველოს ქალთა თასის ფინალში პრემიუმის „ლანჩუთი“ „კოლხეთი“ დაუპირისპირდებიან



საქართველოს ქალთა თასის გადამდებულ, 2021 წლის სეზონის ფინალურ მატჩს ქუთაისის რამაზ შენგელიას სახელობის სტადიონი უმასპინძლებს. შეხვედრა 26 მარტს, 14:00 საათიდან შედგება. გადამწყვეტ მატჩში ერთმანეთს „ლანჩუთი“ და ხობის „კოლხეთი“ დაუპირისპირდებიან.

7 დღის ამინდის პროგნოზი

წვიმა თოვლით -3+3 17 მარტი ხუთშაბათი	წვიმა თოვლით -4+1 18 მარტი პარასკევი	თოვლი -3+3 19 მარტი შაბათი	წვიმა თოვლით -2+3 20 მარტი კვირა	ღრუბლი -1+2 21 მარტი ორშაბათი	მზე, ღრუბალი +1+6 22 მარტი სამშაბათი	ღრუბალი 0+7 23 მარტი ოთხშაბათი
---	---	--	---	---	--	--